სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბრძანება

N1.1/ 161

ქ. თბილისი

21 . 11 .2019 წ.

„სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პირთა ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოთვლის წესისა და დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მ/შემსრულებლის 2019 წლის 23 ივლისის N1.1/92 ბრძანებაში ცვლილების შესატანის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 55-ე და 57-ე მუხლების, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ცვლილება შევიდეს **„სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პირთა ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოთვლის წესისა და დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმის დამტკიცების შესახებ“** სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მ/შემსრულებლის 2019 წლის 23 ივლისის N1.1/92 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართი ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს, ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსების გზით.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი. მე-12 კმ. №6), კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბიზნესის ანალიზისა და პროექტების მართვის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის - სალომე ჯაფარიძის 2019 წლის 21 ნოემბრის N1593932 სამსახურებრივი ბარათი.

უფროსის მ/შემსრულებელი

დავით ტატიშვილი

დანართი N1

დამტკიცებულია:

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის
მ/შემსრულებლის 2019 წლის 21 ნოემბერი N1.1/161 ბრძანებით

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პირთა ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოთვლის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

„სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პირთა ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოთვლის წესი" (შემდგომში - წესი) არეგულირებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - მართვის სისტემა) მიერ:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" (შემდგომში - ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება) ფარგლებში, ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, ქართულ ენაში მომზადების და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პირთა ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოთვლის წესს და პროცედურას;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების" (შემდგომში - „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულება") ფარგლებში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პირთა ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოთვლის წესს და პროცედურას;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესით" (შემდგომში - „გადასვლის წესი") მობილობის წესით მისაღები სტუდენტების ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოთვლის წესს და პროცედურას.

მუხლი 2. ჩასარიცხ პირთა ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოთვლის პრინციპი

1. ამ წესის პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის (შემდგომში - დაწესებულება) ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოსათვლელად, ამ დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას:

ა) გამოაკლდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის (შემდგომში - რეესტრი) მონაცემებით აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა, დაწესებულების მიერ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" საფუძველზე სპეციალური ანკეტა-

კითხვარის წარმოდგენის ვადის დადგომამდე (სპეციალური ანკეტა-კითხვარის წარმოდგენის წლის 1 დეკემბერი), წინა სამუშაო დღის მდგომარეობით;

ბ) ამ მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე მიღებულ ადგილების რაოდენობას დაემატება შესაბამის პროგრამაზე მიმდინარე სასწავლო წლისათვის დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა, ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პრინციპის დაცვით.

2. ამ წესის პირველი მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩასარიცხ პირთა ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოსათვლელად, დაწესებულებისათვის ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას:

ა) გამოაკლდება შესაბამისი დაწესებულების მიერ პირთა ჩარიცხვის მიზნით მიმდინარე სასწავლო წელს მართვის სისტემის მიერ დადასტურებულ სპეციალურ ანკეტა-კითხვარ(ებ)ში ასახული მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობა;

ბ) ამ მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე მიღებულ ადგილების რაოდენობას გამოაკლდება აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა რეესტრის მონაცემების მიხედვით, მართვის სისტემის მიერ „გადასვლის წესის" შესაბამისად ჩასარიცხი სტუდენტების ვაკანტური ადგილების დადასტურების დღის მდგომარეობით, რისთვისაც „დადასტურების დღე" გულისხმობს მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ, დაწესებულებებისათვის მობილობით წესით მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობის მართვის სისტემაში წარმოდგენის ბოლო დღეს;

გ) ამ მუხლის "ბ" პუნქტის საფუძველზე მიღებულ ადგილების რაოდენობას დაემატება მიმდინარე სასწავლო წლისათვის დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობა ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პრინციპის დაცვით.

3. ამ წესის პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ჩასარიცხ პირთა ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოსათვლელად, დაწესებულებისათვის ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას:

ა) გამოაკლდება შესაბამისი დაწესებულების მიერ პირთა ჩარიცხვის მიზნით მიმდინარე სასწავლო წელს მართვის სისტემის მიერ დადასტურებულ სპეციალურ ანკეტა-კითხვარში ასახული ადგილების რაოდენობა, ხოლო „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების" მე-10 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით" გათვალისწინებული წესით ჩასარიცხ პირებთან მიმართებით, რანჟირების დოკუმენტში ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიმდინარე წელს მისაღები სტუდენტების რაოდენობა - რანჟირების დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში;

ბ) ამ წესის პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტით მიღებულ რაოდენობას გამოაკლდება აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა რეესტრის მონაცემების მიხედვით, დაწესებულების მიერ „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების საფუძველზე, ცენტრში წარმოდგენილი სპეციალური ანკეტა-კითხვარის დადასტურების დღის მდგომარეობით;

გ) ამ წესის პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით მიღებულ რაოდენობას გამოაკლდება შესაბამის დაწესებულებაში მობილობით ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა რაოდენობა „გადასვლის წესის" შესაბამისად, ელექტრონული პორტალის მონაცემების მიხედვით:

დ) ამ წესის პირველი მუხლის „გ" ქვეპუნქტით მიღებულ რაოდენობას დაემატება მიმდინარე სასწავლო წლისათვის დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობა (აღნიშნული არ ვრცელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227

ბრძანების დანართი N1-ით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-10 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, შესაბამისი წლის 25 სექტემბრამდე მართვის სისტემის მიერ უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულებებისგან წარმოდგენილ ანკეტა-კითხვარში ასახული ინფორმაციის სისწორის შემოწმებისას).

4. მართვის სისტემის მიერ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პირთა ადგილების რაოდენობის გამოთვლისას დაუშვებელია ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად არსებულ მონაცემებს შორის დუბლირება, კერძოდ, ერთიდაიგივე პირის გათვალისწინება ამ ქვეპუნქტების მიხედვით სხვადასხვა კრიტერიუმებით დამუშავებულ ინფორმაციაში.

მუხლი 3. დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობის გამოთვლის პრინციპი

1. ამ წესის მიზნებისათვის დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება იმ პირების რაოდენობა:

ა) რომლებიც რეესტრის მონაცემების მიხედვით, არიან აქტიური სტატუსის მქონე და სწავლობენ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის საგანმანათლებო პროგრამით, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით, ამ წესის მეორე მუხლის,:

ა.ა) პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაწესებულების მიერ სპეციალური ანკეტა-კითხვარის წარმოდგენის ვადის დადგომამდე (სპეციალური ანკეტა-კითხვარის წარმოდგენის წლის 1 დეკემბერი), წინა სამუშაო დღის მდგომარეობით ;

ა.ბ) მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დადასტურების დღის რეესტრის მონაცემების მიხედვით;

ბ) რომელთა დაწესებულებაში თავდაპირველი ჩარიცხვის წელი - Y აკმაყოფილებს პირობას: Y=C-L, სადაც C აღნიშნავს სტუდენტების მიერ საფეხურის დამთავრების სავარაუდო წელს, ხოლო L - სასწავლო წლების რაოდენობას (ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის/უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურისათვის:

საგანმანათლებლო პროგრამის/უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხური	L
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	1
ბაკალავრიატი	4
მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა	5
ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	5
ერთსაფეხურიანი სამედიცინო (სტომატოლოგია)	5
ერთსაფეხურიანი სამედიცინო (დიპლომირებული მედიკოსი)	6
მაგისტრატურა	2
დოქტორანტურა	3

მუხლი 4. დაწესებულების უფლებამოსილება დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობის გამოთვლისას

1. დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობის გამოთვლის მიზნით, დაწესებულება უფლებამოსილია მიმართოს მართვის სისტემას და მოითხოვოს დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობის გაანგარიშება ასევე ამ მუხლით დადგენილი წესით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაწესებულება მართვის სისტემას წარუდგენს დასაბუთებულ მოთხოვნას სპეციალური ანკეტა-კითხვარის წარმოდგენის წლის 10 დეკემბერამდე და თან დაურთავს ამ ბრძანების დანართი N2-ით დამტკიცებული ფორმას. ამ ფორმაში მითითებული პირები უნდა აკმაყოფილებდენ შემდეგ პირობას - Y< C-L. ასევე, აღნიშნულ პირებს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის ასათვისებელი უნდა ჰქონდეთ არაუმეტეს 60 კრედიტისა ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა.
3. მართვის სისტემა უფლებამოსილია გაითვალისწინოს დაწესებულების მოთხოვნა ამ წესის მე-2 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესით ადგილების თავისუფალი რაოდენობის გამოთვლის მიზნით.

უფროსის მ/შემსრულებელი დავით ტატიშვილი